თიბისი ბანკი

# ელ. ფასთა კოტირება HVAC აგრეგატების შესყიდვაზე

**სს "თიბისი ბანკი"** აცხადებს ელ. ფასთა კოტირებას **HVAC აგრეგატების, სპილენძისა და დრეკადი დრენაჟის მილების შესყიდვაზე.** დაინტერესებულმა პირებმა წინადადება უნდა წარმოადგინონ შესყიდვების ელექტრონული სისტემის - www.tenders.ge საშუალებით.

ელ. ფასთა კოტირება ჩატარდება ე.წ. 1 კონვერტის პრინციპით.

**შესყიდვის ობიექტი:**

შესასყიდი პროდუქციის ჩამონათვალი, რაოდენობა და მახასიათებლები იხ. თანდართულ ფაილად:

- **დანართი N1.**

**შემოთავაზება შესაძლებელია ლოტების მიხედვით. #1 ლოტში მონაწილეობა სავალდებულოა, ხოლო #2 ლოტში სურვილის შესაბამისად. ბანკი გამარჯვებულებს გამოავლენს ლოტების მიხედვით.**

საუკეთესო ფასის წარმომდგენ კომპანიასთან, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს ბანკის მოთხოვნებს, გაფორმდება შესყიდვის ერთჯერადი ხელშეკრულება.

**ელ. ფასთა კოტირების პირობები**

ელ. ფასთა კოტირებაში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტმა საჭიროა სისტემაში ატვირთოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული შემდეგი დოკუმენტაცია:

- ***დანართი N1** - ფასთა ცხრილი;*
- ***დანართი N2** - კომპანიის რეკვიზიტები;*
- ***დანართი N3** - აფიდავიტი*
- ***დანართი N4** - KYP*
- ***შემოთავაზებული აგრეგატების/დანადგარების ტექნიკური მახასიათებლები (DataSheet)***;

**ელ. ფასთა კოტირების მსვლელობასთან და პროცესთან დაკავშირებულ კითხვებზე დაუკავშირდით: ნინი აბაიშვილი 571 90 90 70; nabaishvili@tbcbank.ge**

**შემოთავაზებების მიღების ვადა 06.11.2025, 11:00 -15:00 საათი.**

- ელ. ფასთა კოტირებაში გამარჯვების კრიტერიუმია - ღირებულება;
- პრეტენდენტის მიერ მოთხოვნილი ავანსის ოდენობამ შესაძლოა განსაზღვროს ელ. ფასთა კოტირების საბოლოო შედეგი, რა შემთხვევაშიც დამატებით კომუნიკაცია შედგება აღნიშნულ პრეტენდენტთან;
- ფასები დაფიქსირებული უნდა იყოს ლარში, დღგ-ს ჩათვლით;
- წარმოდგენილი დანართები უნდა იყოს სრულად შევსებული, უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ბეჭდით დამოწმებული, PDF ფორმატში;
- გამარჯვებული კომპანია ვალდებულია ანგარიშსწორებისთვის წარადგინოს სს „თიბის ბანკი"-ს საბანკო რეკვიზიტები;
- წარმოდგენილი წინადადების ვადა უნდა შენარჩუნდეს მინ. 30 კალ. დღე.
- მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია ელ. ფოსტით, მისამართზე Procurement@Tbcbank.ge.
- ბანკის მიერ შესაძლებელია შეწყდეს ელ. ფასთა კოტირება, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში, რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე; ასევე ბანკი იტოვებს უფლებას ელ. ფასთა კოტირება სცნოს ანულირებულად თუ ელ. ფასთა კოტირებაში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ ერთი კომპანია.

- სხვა დანარჩენი პირობები, შემდგომში გამყიდველსა და მყიდველს შორის გათვალისწინებულ იქნება ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულებაში.

**მადლობა დაინტერესებისთვის.**

**გისურვებთ წარმატებას.**